

ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N94 საცხოვრებელი სახლის
N13 ბინაზე, მოქალაქე ნუგზარ ხურციდისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქე ნუგზარ ხურციდის წარმომადგენლის შოთა ლომთაძის განცხადება /2011 წლის 19.11 Nხ-8276/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N94 საცხოვრებელი სახლის N13 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N94 საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნუგზარ ხურციდეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირი N94 საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე /საერთო ფართობი 38,12 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 16,80 კვ.მ, დამხმარე ფართობი 21,32 კვ.მ./ მოქალაქე ნუგზარ ხურციდის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე